

## შპს „ეკოვის ეი-თი-ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

---

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                   | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....           | 3 |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|     |                                                       |    |
|-----|-------------------------------------------------------|----|
| 1.  | კორპორატიული ინფორმაცია.....                          | 4  |
| 2.  | მომზადების საფუძველი.....                             | 4  |
| 3.  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....     | 4  |
| 4.  | მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები..... | 8  |
| 5.  | შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....                | 9  |
| 6.  | სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი.....                 | 9  |
| 7.  | ძირითადი საშუალებები.....                             | 10 |
| 8.  | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                       | 11 |
| 9.  | ფული და ფულის ეკვივალენტები.....                      | 11 |
| 10. | მიღებული სესხები.....                                 | 11 |
| 11. | სავაჭრო ვალდებულებები.....                            | 11 |
| 12. | საგადასახადო ვალდებულებები.....                       | 11 |

შპს "ეკოვის ეი-თი-ეი"

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                         | შენიშვნა | 2021<br>(არააუდიტირებული) | 2020<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან       | 5        | 3,229,129                 | 2,774,524                 |
| <b>სულ შემოსავალი</b>                   |          | <b>3,229,129</b>          | <b>2,774,524</b>          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)      |          | 102,811                   | (67,693)                  |
| ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი |          | (2,342,478)               | (1,723,917)               |
| ცვეთა და ამორტიზაცია                    |          | (91,148)                  | (106,651)                 |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი        | 6        | (161,622)                 | (156,407)                 |
| <b>სულ საოპერაციო მოგება</b>            |          | <b>736,692</b>            | <b>719,856</b>            |
| საპროცენტო შემოსავალი                   |          | -                         | 26,597                    |
| ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან           |          | (41,514)                  | (25,814)                  |
| საპროცენტო ხარჯი                        |          | (38,627)                  | (44,734)                  |
| <b>მოგება გადასახადების გადახდამდე</b>  |          | <b>656,551</b>            | <b>675,905</b>            |
| მოგების გადასახადი                      |          | (104,573)                 | (87,696)                  |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>            |          | <b>551,978</b>            | <b>588,209</b>            |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 დეკემბერს:



შპს “ეკოვის ეი-თი-ეი”

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                         | შენიშვნა | 2021<br>(არააუდიტირებული) | 2020<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან       | 5        | 3,229,129                 | 2,774,524                 |
| <b>სულ შემოსავალი</b>                   |          | <b>3,229,129</b>          | <b>2,774,524</b>          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)      |          | 102,811                   | (67,693)                  |
| ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი |          | (2,342,478)               | (1,723,917)               |
| ცვეთა და ამორტიზაცია                    |          | (91,148)                  | (106,651)                 |
| სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი        | 6        | (161,622)                 | (156,407)                 |
| <b>სულ საოპერაციო მოგება</b>            |          | <b>736,692</b>            | <b>719,856</b>            |
| საპროცენტო შემოსავალი                   |          | -                         | 26,597                    |
| ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან           |          | (41,514)                  | (25,814)                  |
| საპროცენტო ხარჯი                        |          | (38,627)                  | (44,734)                  |
| <b>მოგება გადასახადების გადახდამდე</b>  |          | <b>656,551</b>            | <b>675,905</b>            |
| მოგების გადასახადი                      |          | (104,573)                 | (87,696)                  |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>            |          | <b>551,978</b>            | <b>588,209</b>            |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 12 დეკემბერს:

ირაკლი სირაძე  
დირექტორი

შპს “ეკოვის ეი-თი-ეი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               |          | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
|                                               | შენიშვნა | (არააუდიტირებული)    | (არააუდიტირებული)    |
| <b>აქტივები</b>                               |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                          | 6        | 859,947              | 819,744              |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 35,674               | 36,264               |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>895,621</b>       | <b>856,008</b>       |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                      |                      |
| მარაგები                                      |          | 9,930                | -                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 7        | 592,158              | 620,176              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 8        | 355,516              | 556,169              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>957,604</b>       | <b>1,176,345</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>1,853,225</b>     | <b>2,032,353</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 3,000                | 3,000                |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 1,385,653            | 1,417,886            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>1,388,653</b>     | <b>1,420,886</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                      |                      |
| გრძელვადიანი სესხები                          | 9        | -                    | 349,376              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>-</b>             | <b>349,376</b>       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                      |                      |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 10       | 72,167               | 6,235                |
| საგადასახადო ვალდებულებები                    | 11       | 81,434               | 108,507              |
| მოკლევადიანი სესხები                          | 9        | 310,971              | 147,349              |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>464,572</b>       | <b>262,091</b>       |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>1,853,225</b>     | <b>2,032,353</b>     |

## შპს “ეკოვის ეი-თი-ეი”

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|---------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        | <b>3,000</b>          | <b>1,324,414</b>        | <b>1,327,414</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი | -                     | 588,209                 | 588,209          |
| გამოცხადებული დივიდენდი         | -                     | (494,737)               | (494,737)        |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>        | <b>3,000</b>          | <b>1,417,886</b>        | <b>1,420,886</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი | -                     | 551,978                 | 551,978          |
| გამოცხადებული დივიდენდი         | -                     | (584,211)               | (584,211)        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>        | <b>3,000</b>          | <b>1,385,653</b>        | <b>1,388,653</b> |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

„ეკოვის ეი-თი-ეი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2013 წლის 10 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400074183.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადასახადო კონსულტაციები/აუდიტი, სხვადასხვა ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების გაწევა.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, აფაქიძის ქ., N 11, სართული 11, ბინა N151

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მფლობელები არიან:

- ირაკლი სირაძე 33.34%
- გიორგი კვერხელიძე 33.33%
- ვაჟა პეტრიაშვილი 33.33%

**ინვესტიციები:** შპს „ეკოვის ეი-თი-ეი“ ფლობს ინვესტიციებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები - 49%

## 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

*თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული***3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 3.0976                                          | 3.5040 |
| 2020 წლის 31 დეკემბერი | 3.2766                                          | 4.0233 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

**ძირითადი საშუალებები.**

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                | სასარგებლო<br>მომსახურების ვადა |
|----------------------|---------------------------------|
| შენობები             | 15-20                           |
| კომპიუტერული ტექნიკა | 3-10                            |
| ავტო                 | 5-10                            |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
  - **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.
- არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

| ჯგუფი               | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---------------------|------------------------------|
| ბუღალტრული პროგრამა | 10 წელი                      |

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

#### ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

#### მომსახურება

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად.

#### საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

#### მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტებისგან, გაწეული მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით.

#### მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

## შპს „ეკოვის ეი-თი-ეი“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

|                                        | 2021             | 2020             |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი საგადასახადო მომსახურებიდან | 2,312,646        | 2,054,073        |
| შემოსავალი საბუღალტრო მომსახურებიდან   | 841,209          | 668,884          |
| შემოსავალი სხვა მომსახურებიდან         | 75,274           | 51,567           |
| <b>სულ</b>                             | <b>3,229,129</b> | <b>2,774,524</b> |

კომპანია ფლობს 49% წილს შპს „ეკოვის ეი-თი-ეი“ ფინანსებში“, რომელიც დაკავებულია მარწმუნებელი და კორპორაციული მომსახურების გაწევით. კომპანიების ჯამურმა შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 4,534,023 ლარი (2020 – 3,776,742 ლარი)

#### 6. სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი

|                           | 2021             | 2020             |
|---------------------------|------------------|------------------|
| კომუნალური ხარჯები        | (20,827)         | (13,382)         |
| საოფისე ხარჯი             | (17,319)         | (16,749)         |
| მივლინების ხარჯები        | (16,780)         | (2,905)          |
| მარკეტინგის ხარჯი         | (13,816)         | (16,065)         |
| სამეურნეო ხარჯები         | (12,578)         | (14,829)         |
| დაზღვევის ხარჯი           | (10,001)         | (6,000)          |
| საგადასახადო ხარჯი        | (8,756)          | (8,234)          |
| კომუნიკაციის ხარჯები      | (7,039)          | (4,996)          |
| რემონტის ხარჯები          | (4,860)          | (3,646)          |
| კომპიუტერის ხარჯები       | (3,426)          | (8,967)          |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | (86)             | (18,972)         |
| სხვა ხარჯები              | (46,134)         | (41,662)         |
| <b>სულ</b>                | <b>(161,622)</b> | <b>(156,407)</b> |

შპს “ეკოვის ეი-თი-ეი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება      | ავეჯი           | კომპიუტერული ტექნიკა | შენობები         | ჯამი             |
|---------------------------|-----------------|----------------------|------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2019</b>  | <b>57,299</b>   | <b>321,055</b>       | <b>852,947</b>   | <b>1,231,301</b> |
| შემოსვლა                  | 4,484           | 58,453               | -                | 62,937           |
| გასვლა                    | -               | -                    | -                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>  | <b>61,783</b>   | <b>379,508</b>       | <b>852,947</b>   | <b>1,294,238</b> |
| შემოსვლა                  | 8,002           | 114,902              | -                | 122,904          |
| გასვლა                    | -               | -                    | -                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>  | <b>69,785</b>   | <b>494,410</b>       | <b>852,946</b>   | <b>1,417,141</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>    |                 |                      |                  |                  |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>  | <b>(44,066)</b> | <b>(174,008)</b>     | <b>(157,096)</b> | <b>(375,170)</b> |
| ცვეთის ხარჯი              | (9,581)         | (47,096)             | (42,647)         | (99,324)         |
| გასვლა                    | -               | -                    | -                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>  | <b>(53,647)</b> | <b>(221,104)</b>     | <b>(199,743)</b> | <b>(474,494)</b> |
| ცვეთის ხარჯი              | (3,185)         | (38,005)             | (41,511)         | (82,701)         |
| გასვლა                    | -               | -                    | -                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>  | <b>(56,832)</b> | <b>(259,109)</b>     | <b>(241,253)</b> | <b>(557,194)</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b> |                 |                      |                  |                  |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>  | <b>8,136</b>    | <b>600,612</b>       | <b>1,052,688</b> | <b>819,744</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>  | <b>12,953</b>   | <b>235,301</b>       | <b>611,693</b>   | <b>859,947</b>   |

## შპს “ეკოვის ეი-თი-ეი”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                       | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|---------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 586,760              | 620,176              |
| მოკლევადიანი ავანსები                 | 4,885                | -                    |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები          | 513                  | -                    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>592,158</b>       | <b>620,176</b>       |

#### 9. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|----------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 153,021              | 305,613              |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში            | 202,495              | 250,556              |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>355,516</b>       | <b>556,169</b>       |

#### 10. მიღებული სესხები

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ფიზიკური პირისგან დოლარში, რომლის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა ძირითადი საშუალების შესყიდვა. აღნიშნული სესხის დაფარვა უნდა მოხდეს 2023 წელს

#### 11. სავაჭრო ვალდებულებები

|                                          | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მიღებული ავანსები                        | 32,835               | 5,445                |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 39,332               | 790                  |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>72,167</b>        | <b>6,235</b>         |

#### 12. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.